სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

შპს „ვესტ პეტროლი"-ს ს/კ 415109411

დირექტორის კახაბერ ქაჯაიას

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"11" 07 2024 წ
№ 6992

ს ვ რ ი ნ ი ნ გ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ვესტ პეტროლის" საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ნავთობპროდუქტების (დიზელი, ბენზინი) მიდება-შენახვა-რეალიზაცია. აღნიშნული მიზნით კომპანიას ქ. ფოთში, ხიბის ქუჩა № 7-ში (ს/კ 04.01.05.494; ნაკვეთის წინა ნომერი 04.01.05.435) მოწყობილი აქვს ნავთობპროდუქტების საცავი და ავტოგასამართი სადგური. ტერიტორია წარმოდგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელიც თანხმობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ვესტ პეტროლის" სარგებლობაშია.

ნავთობპროდუქტების საცავის და ავტოგასამართი სადგურის მოწყობა განხორციელდა 2022 წლის სექტემბრის თვეში. 2023 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემოწმებული იქნა შპს „ვესტ პეტროლის" კუთვნილი ობიექტი, რის შედეგადაც დადგინდა რომ კომპანიამ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე მოაწყო და ოპერირებას უწევს ნავთობპროდუქტების საცავს. შედეგად – 2023 წლის 28 აპრილს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კომპანიის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 2023 წლის ბოლოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ კიდევ ერთხელ იქნა შემოწმებული ზემოაღნიშნული ობიექტი. ხოლო განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე, 2024 წლის 12 იანვარს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77 მუხლის პირველი ნაწილით განსახილველ სამართალდარღვევაზე (ატმოსფეროული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის უქონლობასთან დაკავშირებით) შპს „ვესტ პეტროლის" მიმართ შედგენილი იქნა ოქმი N085255.

ზემოაღნიშნული გარემოებისა და საკანონმდებლო საფუძველის გათვალისწინებით, საქმიანობის განმახორციელებლის დაკვეთით შემუშავდა საქმიანობის სკრინინგის განცხადება/ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ ოქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „ვესტ პეტროლი"-ს ნავთობპროდუქტების საცავის სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია (PDF);
2. SHP ფაილები;
3. დანართი 1 – იჯარის ხელშეკრულება(PDF);
4. დანართი 1.1 – მეიჯარის დასახელების ცვლილების შესახებ(PDF);
5. დანართი 2 –N 076745 სამართალდარღვევის ოქმის ასლი (PDF);
6. დანართი 3 –N 085255 სამართალდარღვევის ოქმის ასლი (PDF);
7. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის წერილი (PDF).

პატივისცემით,

შპს „ვესტ პეტროლი"-ს
დირექტორი: ,,ალბერ ქაჯაია

შპს ვესტ პეტროლი
415109411
WEST PETROL LTD